4/IX

ფასი ერთი ფენიანი

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნა

საქ. კ. პ. სენაკის სამაზრო კომიტეტის ტ ალმასკომის ყოველ-კვირეული ორგანო.

რედაქცია: დრ. [illegible] ახალ-სენაკი [illegible] ნინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფილების შენობაში)

ყოველგვარი მასალები, კორესპოდენციები და განცხადებანი უნდა გამოიგზავნოს ამხ. ვ. ნადარეიშვილის სახელზე შემდეგი მისამართით: ქ. ახალ-სენაკი ლენინის ქუჩა № 45 (განათლების განყოფ.)

პირადათ მოლაპარაკება რედაქციის პას. მგ. მდივან ამხ. ვ. ნადარეიშვილთან შესაძლებელია ყოველდღე (გარდა უქმე დღეებისა) დილის 11-დან ნაშუ. 2 საათამდე

ტელეფონი—განათლების განყ

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუზეი революции

№ 16 კვირა 12 აგვისტო, 1923 წ. ყოველ-კვირეული გაზეთი ფასი 50,000 მან. № 16

17 აგვისტოს საღამოს სრულ 7 საათზე საბჭოთა თეატრის დარეკაზში გაიხსნება ს. ა. კ. კ. სენაკის სამაზრო მეხუთე რეგალური კონფერენცია.

დღის წესრიგი:

1. საერთაშორისო და შინაური ნდგომარეობა ს. ს. რ. კ, მომხსენებელი **ს. მამულია.**
2. სასკოლო პოლიტიკა — **ვ. ქობულია.**
3. პოლიტ.-განათლების დარგში მუშაობაზე — **ვ. ნადარეიშვილი.**
4. სამაზრკომის ანგარიში და მოხსენება ადგილებიდან.
5. მომავალი მუშაობის გეგმა — ცეკას წარმომადგენელი.
6. საქ. ყრილობაზე დელეგატების არჩევა.
7, სამაზრკომის არჩევნები.
8. მიმდინარე კითხვები.

ქალაქის ორგანიზაციის წევრების დასწრება სავალდებულოა.

ს. ა. კ. კ. სენმიზრკომის პ/მგ. მდივნის მოადგილე **ა. კოკაია.**

სალამი პროლეტარულ რევოლიუციის ავანგარდს—კომუნისტურ ახალგაზრდობას!

17 აგვისტოს ქ. ახალ-სენაკში შესდგება მუშათა და გლეხთა წითელ კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის მე—5—ე ლეკალური კონფერენცია.

მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციის ქარ-ტიხილში კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირი მეავარ აქტიურ როლს თამაშობს. კომუნისტურმა კავშირმა დაამტკიცა და დღითი-დღე ამტკიცებს, რომ ის ერთად-ერთი ახალგაზრდათა ორგანიზაცია, რომელიც—გამოსული პროლეტარიატის და უღარიბეს გლეხობის წრიდან—იბრძვის ამავე კლასის სამუდამოდ განსათავისუფლებლად მსოფლიო კაპიტალის მწვავე უღლისაგან.

კომკავშირი—ესაა გული და ნებისყოფა მთელი რევოლიუციის. კომკავშირი—ესაა კაცობრიობის მთელი მომავალი და იმედი. კომკავშირი—ესაა ის არმია, რომელმაც უნდა დაიკავოს ბრძოლაში და აღმშენებლობაში თავისი მასწავლებლის კომუნისტური პარტიის ადგილი. კომკავშირი—ესაა ის შანთი, რომელმაც უნდა ამოსწვას ხალხის გულიდან ყველა ის დახავსებული იდეები და მსოფლმხედველობა, რომელებსაც საუკუნოების განმავლობაში უნერგავდა კაცობრიობას აწ უკვე დრომოჭმული კაპიტალისტური წესწყობილება. კომკავშირი—ესაა ის ორგანიზაცია, რომელმაც ფიზიკურად ჯან-ღონით სავსე, მებრძოლი სულით, და ნებისყობით გამსჭვალული საკაცობრიო კომუნისტურ—კოსმოპოლიტურ იდეებით ახალგაზრდობა უნდა მოუმზადოს მომავალ თაობას.

ამ მხრით მთელი იმედი ახალგაზდათა კომუნისტურ კავშირისკენაა მიპყრობილი.

ჩვენს მაზრაში ეს ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერია. მან უკვე დაიპყრო მთელი ახალგაზდობა და, რაც მთავარია, შეიჭრა მოწაფეობაში—სკოლაში. მუშურ-გლეხური ახალგაზდათა მოძრაობას ჩვენს მაზრაში თავისი ისტორია აქვს. 1917 წლის მიწურულს აქ ჩაისახა ქართველმა ფიზიკურად ჯან-ღონით სავსე, მებრძოლი სულით, და ნებისყობით გამსჭვალული საკაცობრიო კომუნისტურ—კოსმოპოლიტურ იდეებით ახალგაზრდობა უნდა მოუმზადოს მომავალ თაობას.

ამ მხრით მთელი იმედი ახალგაზდათა კომუნისტურ კავშირისკენაა მიპყრობილი.

ჩვენს მაზრაში ეს ორგანიზაცია საკმაოდ ძლიერია. მან უკვე დაიპყრო მთელი ახალგაზდობა და, რაც მთავარია, შეიჭრა მოწაფეობაში—სკოლაში. მუშურ-გლეხური ახალგაზდათა მოძრაობას ჩვენს მაზრაში თავისი ისტორია აქვს. 1917 წლის მიწურულს აქ ჩაისახა ქართველი ახალგაზრდობა საკმარისად მოკონიერდა და ეს მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა საქართველოს გასაბჭოებამდე ლეგალურად მომუშავე-პარტიები აშკარა ბრძოლის გზას დაადგენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და მისი დამარცხებამიზნათ დაისახეს. ამ ბრძოლაში, რომელიც სწარმოებ-ისის „სპარტაკის“ ორგანიზაციის შტო. მალე ახალგაზდობა ჩათრეულ იქნა მოძრაობაში და „სპარტაკმა“, რომელმაც შემდეგ მიიღო „ახალგაზდათა კომკავშირის“ სახელწოდება, სრული ნიადაგი მოიპოვა ჩვენს მაზრაში.

მე-5-ე კონფერენცია ერთხელ კიდევ დაათვალიერებს თავის რიგებს და წარსულ ნამოქმედს. აღნუსხავს რა ყველა დადებით მიღწევნებს და უარყოფით მხარეებს, მე-5 კონფერენცია განაგრძნობს ბრძოლას იმ გზით რომლითაც უფრო ადვილი იქნება მასზე დამყარებული იმედების განხორციელება.

ვ. ნ—ლი.

მოწოდება.

ამხანაგებო! ორი წელიწად ნახევარია, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. ორი წელიწად ნახევარია, რაც საქართველოს მშრომელი ხალხი საკუთარ ბედ-იღბალს დაეპატრონა. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა საკმარისად მოკონიერდა და ეს

მითი უგზიოდ ჩასახვის შესახებ.

(ნარკვევი შედარებითი მითოლოგიისა).

ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გვებადება კითხვა, წარმოადგენს თუ არა ქრისტიანობა ერთად ერთ რელიგიას, რომელმაც შეითვისა მითი უბიწოდ ჩასახვის შესახებ. ამ კითხვაზე საჭიროა მიცემა უარყოფითი პასუხისა.

ის მისი ჰქონდა ყველა უმთავრეს ხალხებს, რომელნიც ცხოვრობდენ ხმელთა შუა ზღვის ნაპირებზე,—უფრო კი სწორე იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ ასეთი მითი ჰქონდა ყველა ხალხებს.

ბერძენთა სამი ქალ-ღმერთი—იუნონა, მონერვა და დიანა*),—ატარებდენ ქალწულთა სახელს, და ეს მიუხედავად იმისა, რომ იუნონას ჰყავდა რამდენიმე შვილი, ხოლო მონერვა, ეს სწორუპოვარი**) ქალწული, მრავალჯერ იყო დედა. ციცეროსა და არისტოტელეს თანახმად, მან მიანიჭა სიცოცხლე აპოლონ (მამათაგან პატივცემულს), ვულკანი იყო მისი მეუღლე, უკეთ, შემბღალველი,—იგი დაეუფლა მას ძალადობით, თუმც ამას არ შეუშლია მისთვის ხელი გაეზიარებინა მონერვასთვის თავისი ტაძარი ათინის აკროპოლში. ლამპადოფორთა დღესასწაული (რბენა ჩირაღდნებით) ხდებოდა ვულკანისა და მონერვას პატივსაცემად.

ნეპტუნმა, ზღვათა მეფემ, მრავალგზის იკადრა ძალადობა, რომლის მსხვერპლი შეიქნა აგრეთვე მონერვაც; თვით მიწა აღმოჩნდა მეტად თავაზიანი და თავისი მუცლით ატარა ერიოთონიოს. შვილი ნეპტუნისა და მონერვასი მიუხედავად ამისა, მონერვა შემდეგაც, როგორც მანამდე, ატარებდა „ქალწულის“ სახელს და მისი ტაძარი აკროპოლში, ერიჭთეიონი, შეწირული ჰქონდა მონერვას.

ე. ი. ქალწულ დედას*). ის ღმერთიც კი იყო—პატივახდილ ქალთა მფარველი, რომელთა რიცხვი ძველ საბერძნეთში, ისევე როგორც ავსტრალიაში, მეტად დიდი იყო. აეტრამ, რომელიც ნეპტუნმა გააუპატიურა სფერიოსის კუნძულზე აუგო მონერვას,— („მომხიბლველს“) ტაძარი. როდესაც ჰერკულესმა დაამარცხა ამ ორ ძალთა დედოფალი, შემოხსნა მას ქამარი და შესწირა მონერვას. საპატარძლოები ტრაზენისა ქორწინების დღეს მიუძღვნიდენ ხოლმე მონერვას თავის ქამარს.

ბერძენთა შეხედულებით ქალწულობისა და დედობის ცნება არ ეწინააღმდეგებოდა ერთი მეორეს. შემდეგ ჩვენ ვნახავთ რომ ცნება „ქალწული დედა“ მოასწავებს მას, რომ ქალი გახდა დედად ქმრის მონაწილეობის გარეშე, როგორც ეს შეემთხვა ქალწულ მშობელს მარიამს. ისტორიის ჯერ კიდევ უუძველეს დროში ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ ქალი იყო დედა მაშინ, როდესაც ის არ იყო გათხოვილი. ეს მოსაზრება ჰქონის იმ ადგილს ებილის „ევმენიდებიდან“, სადაც მონერვა ამბობს: „ქმრები მიყვარს მე და არა ქორწინებაო“. საბერძნეთში გაუთხოვარი ქალის შვილს „ქალწულის შვილს“ უწოდებდენ. ქალი ითვლებოდა ქალწულად, თუ ის არ იყო გათხოვილი.

„ღმერთთა დიდი დედა“, რომელსაც თაყვანს სცემდენ წინა აზიაში და რომლის კულტმაც მეორე საუკუნის განმავლობაში ჩვენ წელთაღრიცხვამდე მიიღო მოქალაქობის უფლება იტალიაში, აგრეთვე, როგორც მონერვა, ქალწული დედა იყო. „ღმერთთა დედა“, ამბობს ივლიანე „ქალ-ღმერთი“, რომელიც შობს და იმყოფება მჭიდრო ურთიერთობაში იუპიტერთან, იგია, რომ ყველა არსის მამასთან-ერთად შობს და ჰქმნის არსთ; ამ უდიდო ქალწულს უჭირავს ადგილი იუპიტერის გვერდით, რადგან იგი, „შეშმარტად „ღმერთთა დედაა“. ნამდვილად დიდ იუპიტერს ძლიერ მცირე ადგილი ეჭირა მის მიმართ, ის არ იყო მისი მეუღლე. ის მისი ოსები იყო. მიუხედავად თავისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობისა, „ღმერთთა დედა“ მუდამ ქალწულად რჩებოდა, რადგან იგი არ ყოფილა გათხოვილი.

იდეა ქალწული დედისა წარმოიშვა, ალბათ, იმ დროს, როდესაც, როგორც ამბობს მორგანი, ჯგუფობრივი და საწრეო ქორწინების ადგილი დაიჭირა წყვილობითმა ქორწინებამ. ქალი, მაშინდელი შეხედულებით, მიუხედავად შესაძლო დედობისა, ითვლება ქალწულად იქამდე, მანამ არ შეუღლდება მონოგამიური*) ქორწინებით. მონერვა და „ღმერთთა დედა“, რომელნიც ეკუთვნიან ღვთაებათ უხუცეს თაობას, იყვენ ბერძენთა და ფრიგიელთა ღმერთებად იმ ხანაში, რომლის საქორწინო ზნე-ჩვეულებანი წაგავდა პოლინეზიის თანამედროვე ხალხთა ასეთსავე ზნე-ჩვეულებებს. შემდეგში, უეჭველია, თქმამ „ქალწული დედა“ მიიღო სხვა აზრი და ნიშნავდა „დედას მამაკაცის დაუხმარებლად.“ იუნონას ძალიან მოჰქონდა თავი მით, რომ შვა მარსი და ვენა, რომელნიც მას არ ჩასახვია მამაკაცისაგან. ასეთი არაჩვეულებრივი დედობის მტკიცებაზე იუპიტერმა უპასუხა მას, რომ მან თვით შვა მონერვა, რისაც ის მეტად ამაყობდა.

იზიდამ, ეგვიპტის დიდმა ქალ-ღმერთმა, ამოსჭრა თავის ტაძარზე ამაყი წარწერა: „მე ვარ დედა მეფის ჰორუსი, და არავის არ წარმოუნია ჩემთვის კაბაო“.

*) მე ვხმაროობ დათიხურ სახელებს ბერძენთა ოლიმპის ღმერთებისას იმიტომ, რომ ეგენი უფრო ნაცნობი არიან. მაგრამ მე მაინც კარგად ვგრძნობ, რომ მათი აღნიშვნა ამ სახელებით ისევე შემცდარია, როგორც აღნიშვნა ეგვიპტელთა ეგოვასი, ქრისტიანეთა მარადიული მიმიხა პანთეიზმის მეტაფიზიკური პირველარსებისა ერთისა და იმავე სახელით „ღმერთი“.

*) ეკლესიის მამანი აღნიშნავენ ამავე სახელით ქალწულ მარიამს.

*) მონოგამია—ერთქორწინება; პოლიგამია—მრავალქორწინება.

თუ ჩვენ ხმელთა შუა ზღვის ნაპირებიდან. გავემართებით შორეული ჩრდილოეთისაკენ, ფინეთში, ჩვენ იქ აგრეთვე ვიპოვით ისევ იმავე მითს. „კალევალაში“, ფინურ ხალხურ თქმულებაში, მოხსენებულია სამი ქალწული, რომელთაც ჩაესახათ ნაყოფი ჰაერისაგან. ისნატარ, „ქალწული მშვენიერი“, მღერის: „მე ვარ უხუცესი დედაკაცთაგანი, მე ვარ პირველი დედა ადამიანთა, ხუთჯერ ვიყავი მეუღლედ და ექსჯერ საცოლედო. და მიუხედავად ყველა ამისა, ის ყოველთვის რჩებოდა ქალწულად, იმისთვის საკმარისი იყო მხოლოდ დაშორებოდა ქმარს, რომ ისევ ქალწულად გამხდარიყო. არგოსის მცხოვრებნი ირწმუნებოდენ, რომ მათი „პოლიადა“ (ქალ-ღმერთი—მფარველი ქალაქის) იუნონა ყოველწლივ ბანებოდა წყაროში, რომ ღაბრუნებინა ქალწულობა. შესაძლოა, წყაროში ბანვა ჩვეულებად ჰონდათ არგოსის ქალებს ქმრებთან დაშორების სურვილისშემთხვევაში.

რომ ამ მხრივ ღმერთთა ზნე ჩვეულებებში, როგორც დანარჩენებში, ისახებოდა მხოლოდ ადამიანთა ზნე-ჩვეულებანი, მტკიცდება მით, რომ მომაკვდავთაც შეეძლოთ გამოეღოთ თავი უბიწოდ ჩასახვის უპირატესობით. „კლევალში“ ნათქვამია, რომ მოხუცი ვეინემეინენი იყო შვილი ქალწულის ლუონოტარისა, რომელიც თავის მხრით იყო შვილი ილნასისა, გმირთა დედისა, რომელსაც ნაყოფი ჩაესახა ზღვისაგან. წარწერა სარგონისა, ქალდეის ერთ-ერთი უუძველესი მეფისა, რომელიც, ლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და სწარმოებს მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ და რომელიც არსებითად რევოლიუციის დამარცხებას უქადის, საქართველოს სოც.-დემოკრატიულ (მენშევიკების) პარტიას პირველი ადგილი უჭირავს. სოც.-დემოკრატია ერთ დროს უაღრეს რევოლიუციონურ იდეების მატარებელი პარტია იყო. მან პირველმა ააფრიალა დროშა ერთასოლიდარობისა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ეროვნულ შუღლს ამიერკავკასიაში; სოციალ-დემოკრატიამ ჩაუყარა საფუძველი რევოლიუციონურ მოძრაობას და მშრომელი ხალხის ორგანიზაციას. ათეულ წლების განმავლობაში საქართველოს მშრომელი ხალხი ამ პარტიის წითელი დროშის ქვეშ იყრიდა თავს.

მაგრამ დღეს სოც.-დემოკრატიამ დაკარგა სწორი რევოლიუციონური გზა. მუშურ-გლეხურ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლით ის გადაიქცა მშრომელი ხალხის მტრად და ცხოვრების ზედმეტ ბარგად.

საბჭოთა ხელისუფლებამ მოგვცა ჩვენ, მშრომელ გლეხებს, მიწა და თავისუფლება, მან ერთხელ და სამუდამოთ მოსპო მემამულეთა თარეში მშრომელ გლეხების ზურგზე; საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მუშებს 8 საათის სამუშაო დღე; შრომის დაზღვევა; მუშური სასამართლო, პროლეტარული სკოლა და სხვ.; საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელი გლეხები, პროლეტარებთან ერთად ქვეყნის ბატონ-პატრონად გადაქცია.

მუშურ-გლეხური მთავრობა— ასე ეწოდება ოქტომბრის რევოლიუციის მიერ შექმნილ ხელისუფლებას და ამას გამოხატავს ჩაქუჩის და ნამგლის ემბლემა.

ამის შემდეგ რაღა დარჩენია სოციალ-დემოკრატიას საბრძოლველად?! ვერც ერთი აქ აღნიშნული სოციალური კითხვა ვერ გადასჭრა ამ პარტიამ თავისი ბატონობის დროს. ეხლა, როცა ეს კითხვები მოიხსნა მუშათა კლასის ბრძოლის დღის წესრიგიდან, ქართველი სოციალ-დემოკრატია ეროვნულ კითხვის გარშემო რაზმავს თავის ძალებს და ამ იარაღით ლაშობს ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციამ და უკანასკნელად კომპარტიის მე XII პლენუმმა ეს კითხვაც გადაჭრა. აქ ქართველ სოციალ-დემოკრატიას უკანასკნელი ნიადაგიც გამოეცალა და სრული განადგურების, გადაგვარების გზაზე შესდგა. ამ ერთ დროს ძლიერი პარტიების რიგებში მრავლად მოიპოვებოდენ რევოლიუციონური ელემენტები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვენ კაცობრიობის წინმსვლელობით და წარმატებით. მაგრამ, როცა სოც.-დემოკრატია გაკოტრდა იდეურად და კონტრ-რევოლიუციის ბუდეთ იქცა ორგანიზაციულად—ეს ხალხი მას ზურგს აქცევს და ახალ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ გზაზე დგება, საითაც მას საკუთარი სოციალური ბუნება მოუწოდებს.

ამის მოწმეა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა თბილისის, გურიის, ქუთაისის, გორის მაზრის და სხვა მრავალი კონფერენციები. ჯერი ჩვენია, სამეგრელოს მშრომელო ხალხო! ჩვენ ყოველთვის გვერდით უდექით დანარჩენ საქართველოს მშრომელ ხალხს და საკუთარი წვლილი შეგვქონდა განმანთავისუფლებელ მოძრაობაში. დროა ყველამ შეიგნოს, თუ რას გვიქადის საბჭოთა ხელისუფლების დამარცხება; დროა ვიცნოთ მტერი და მოყვარე:

ამ მიზნით, ამხანაგებო, ხუთშაბათს—16 აგვისტოს (ახ. სტ.) ახალსენაკში დანიშნულია მენშევიკურ-პარტიის ყოფილ წევრთა სენაკის სამაზრო კონფერენცია. მხურვალე მონაწილეობა მიიღეთ ამ კონფერენციაში, აღიმაღლეთ ხმა, აღაპარაკეთ თქვენი რევოლიუციონური შეგნება და გრძნობა, რაც დღემდე ჩრდილული იყო სოც. დემოკრატიულ პარტიის შეუფერებელი მოქმედებით, რომელიც ჩირქს ცხებდა ყოფილ მის წევრებს, გულ რწმელი რევოლიუციონერის გრძნობას.

გაუმარჯოს ჩვენს შეგნებას და სწორ გზაზე შედგომას!

გაუმარჯოს მუშის და გლეხის ხელისუფლებას!

გაუმარჯოს რუსეთის ოქტომბრის დიდ რევოლიუციას!

ძირს მშრომელი ხალხის მოღალატე მენშევიკური პარტია და მეორე ინტერნაციონალი!

გაუმარჯოს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს!

სენაკის მაზრის **მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა სამაზრო კონფერენციის მომწვევი ბიურო.**

ქ. ახალ-სენაკი
1923 წ. 10 აგვისტო.

თურმე ენა ყველაფერს იტყვის.

(პასუხი პასუხზე სენაკის მაზრის განათ. მუშაკთა კავშ. პ. მგ. მდივან—მ. კაჭარავას).

„კომუნა“-ს № 10-ში მე მოვათავსე მცირე, მაგრამ ყურადსაღები შენიშვნა სენაკის მაზრის განათლ. მუშაკთა კავშირის პ. მგ. მდივნის მიმართ.

ვინაც ქონდა ყური სმენად და თვალი ხედვად, ის დარწმუნდებოდა, რომ წერილის ავტორს სურდა ხსენებულ კავშირის პ. მგ. მდივნის განთავისუფლება იმ სენისაგან, რომლითაც იგი შეპყრობულია და რომლის მეოხებით კავშირის მთელ მუშაობას უარყოფითი დალი ასვია.

მაგრამ ყველაფერი ეს უკუღმა გაუგია პ. მგ. მდივან კაჭარავას, რომლიც „ორ-არშინიან წერილს“ ათავსებს „კომუნა“-ს №12-ში, სადაც ლაპარაკობს: „მე საბუთებით ხელში მზათა ვარ დავამტკიცო „Ураган“-ის წერილის სრული სიყალბე“-ო. საინტერესოა რას ამტკიცებს ეს კაცი! წერილს იწყებს „Ураган“-ის გინებით და ათავებს იმავე გინებით. არავითარი ფაქტი, არავითარი საბუთი, რომელიც აქარწყლებდეს მის საწინააღმდეგოდ წამოყენებულ დებულებებს, იქ არ არის. თვითონაც სცნობს თავის თავს დამნაშავედ:—„რად არ გამაფრხილე ოდესმე“-ო. იიმედებს გულს მით, უომ მიწვევს „სამედიატორო სასამართლოში“. საცოდავი!

ვიმეორებ: არავითარი კერძო ინტერესი მ. კაჭარავას საწინააღმდეგოდ მე არა მქონია და ამ მოსაზრებით არაფერი დამიწერია; მაგრამ კაჭარავა, ნაცვლად იმისა, რომ გამოასწოროს ის საპასუხისმგებლო საქმე, რომელიც მას მიაბარეს,—გადადის პირად ინტერესზე და ლანძღვაზე. ყოველივე ამის შემდეგ მე იძულებული ვარ ამ წერილით მოვთხოვო შემდეგი: 1. იქნეს გამოქვეყნებული გაზეთში განათლ. მუშ. კავშირის სარევიზიონო კომისიის, რომლის საშვალებით დამტკიცდება, თუ რამდენად შეიცავდა ჩემი წინა წერილი სინამდვილეს. 2. იქნეს გამოქვეყნებული თვით კავშირის გამგეობის აზრი პ. მგ. მდივნის საქმიანობის შესახებ იმ ინტერვიუს ანიშვნით, რომელსაც პ. მგ. მდივანი მ. კაჭარავა ეწეოდა მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციებზე სენაკის სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილების გამის მიმართ. 3. გამოქვეყნდეს გაზეთში (რადგან ამას მ. კაჭარავა დაჟინებით მოითხოვს და მაზრის პ. მგ. ამხანაგებსაც ლანძღავს) მიეცა თუ არა მ. კაჭარავას, შენიშვნა და გაფრთხილება ვისგანაც ჯერ იყო, რათა მას თავი დაენებებია სამუშაო საათებში ტყუილა-უბრალო ხეტიალისთვის, 4. იქნეს გამოთქმული აზრი საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალურ სამმართველოს მიერ სენაკის მაზრის განათლ. მუშ. კავშირის პ. მგ. მდივნის საქმიანობის და კერძოდ საფინანსო ანგარიშების შესახებ. ასეთები ბევრია, მაგრამ დანარჩენებზე შემდეგ.

აი, ახლა გამოგიბრუნდით, ამხ. კაჭარავა, თქვენი „საბუთებით ხელში“ და გაანიავეთ ყოველივე. შემდეგ კი, თუ დამიმტკიცებთ სიცრუეს, მე დიდის სიამოვნებით გამოვალ თქვენთან თქვენს „სამედიატორო სასიმართლოში“.

ენა, თურმე, ყველაფერს იტყვის, მაგრამ საჭიროა ფაქტი იცოდეო, რომ სიქმე გაქვთ მუშა-კორესპონდენტთან, რომელსაც საქართველოს ცენტრალური გაზეთები იცნობენ სხვა და სხვა ჰსეუდონიმებით: „კომუნა“-ში კი თქვენს ბედზე „გრიგალმა“ იგრიალა.

ნორმანის სიტყვით მიეკუთვნება 3.000 წელს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისამდე, მეტყველებს: „მე, სარგონი, ძლიერი მეფე, მეფე აღადისა, დედაჩემს ჩავესახე მე მამაჩემის მონაწილეობის გარეშე“.

თვით მდედობრითი სქეესს ცხოველებს ჯდოთ წილი უბიწოდ ჩასახვის უპირატესობაში.

ჰაკ ცხენებს, „რომელნიც იყვნენ უთეთრეს თოვლისა და უსწრაფეს ქარისა“, ჩაესახებოდათ ხოლმე ნაყოფი ქარის ზეფირისაგან ზღვის ნაპირზე. ბორეო, ჩრდილოეთის ქარი, ასეთსავე სამსახურს უწევდა ხოლმე ერიპტონიოსის ჰაკ ცხენებს. კაპადოკიის ჰაკ ცხენებს ტაიოდან და სხვა ადგილებიდან ესახებოდათ ნაყოფი ასეთივე წესით.

გორაპოლონი მოგვითხრობს, რომ სვავი, რომელიც ეგვიპტეს იეროგლოფიურ წარწერებში განმასახიერებელია გამარჯვებისა, არის ამასთანავე განსახიერება დედისა, ვინაიდან სვავებში არ არის მამლები, ხოლო დედლებს ესახებათ ნაყოფი ჩრდილოეთის ქარისაგან, რომელსაც ისინი უხსნიან სასქესო ნაწილსო.

II

დედაკაცის რწმუნებამ, რომ მას შეუძლია შობა შვილებისა მამაკაცის დაუხმარებლად, გამოიწვია წინააღმდეგობა ამ უკანასკნელისა და იმანაც იწყო მტკიცება, რომ შეუძლია შვილთა შობა დედაკაცის დაუხმარებლ დ. იუპიტერმა შვა თავისი თავიდან მინერვა. წმინდა ავგუსტინეს მოჰყავს მუსლი, რომელშიაც ამ ღმერთს უწოდებს „ღმერთთა მამას და დედას.“ მელასის მედალზე იუპიტერი გამოხატულია წვერით და ქალის შველი მკერდით.

ნუმმა,—ეგვიპტის პანთეონის*) ერთ—ერთმა ღმერთმა და ქვეყნის გაჩენის მონაწილემ,— დასდო პირით კვერცხი' რომლიდაც იშვა ფტო, ვარსკლავთა შემქნელი.

კლიმენტ ალექსანდრიელის თანახმად ხარაბუა იეროგლიფურ წარწერაში ნიშნავს „მზესა“ და „მამას“. „იგი წარმოადგენს, - ამბობს გორაპოლონი,—არსს, რომელიც წარმოსდგება ერთად ერთი არსისაგან, იმიტომ, რომ მან თვით შვა თავისი თავი და არ ყოფილა დედის მუცელში. გამრავლების დროს იგი იქცევა შემდეგნაირად. იგი იღებს ხარის ფუნეს და აგორებს უკანა ფეხებით ისე, რომ აძლევს მას მრგვალ ფორმას, როგორიცაა მიწის ფორმა. როდესაც იგი ამნაირად მოამზადებს პატარა ბირთვს, ინახავს მიწის ქვეშ..., ოცდა მეცხრე დღეს გამოაქვს მიწიდან და აგდებს წყალში... და მაშინ იქიდან გმოდის ახალი ხარაბუა, რომელიც არის განსახიერება მამისა, რადგან დაბადებულია მხოლოდ მამლის მიერ; იგი არის განსახიერება მიწისა, რადგან ბირთვს, რომელშიაც ისახება და ვითარდება ნაყოფი, აქვს მიწის ფორმა; იგი წარმოადგენს მამაკაცის განხორციელებას იმიტომ, რომ ხარაბუებში არ არის დედები,—ასე ამბობენ ეგვიპტელები.“

* * *

მამაკაცი, რომელიც გატაცებული იყო სურვილით წაერთმია ქალისთვის მისი დიდი როლი მოდგმის გამრავლების საქმეში, ამტკიცებდა, რომ შვილის შობვაში ქალი თამაშობს პასიურ როლს ნაყოფის შემნახველისას. ესხილის „ევმენიდებში“ აპოლონი ასე გადმოგვცემს მამაკაცის ასეთი შეხედულებას: „დედა კი არა შობს თავისი შვილს, დედა მსაზრდოებელია დათესილი ნაყოფისა. შობს მამა. დედა, ინახავს მხოლოდ საწინდარს მეგობრისთვის, თუ ღმერთი არ იქნება წინააღმდეგი. შობვას აგიხსნით მე ამ სიტყვებით: უდედოდ შესაძლებელია მამობა. დასამტკიცებლად მოგაგონებთ ოლიმპიელის შვილს*), რომელსაც არ უძინია დედის მუცელში.“

ერთი ბერძნული მითი მოგვითხრობს, რანაირი ზიზღით ეპყრობოდენ მამაკაცები და ღმერები ქალის როლს შვილის შობვაში. იუპიტერმა, ნეპტურმა და მერკურიმ, რომელთაც სურდათ დაეჯილდოებინათ ენოპონი, ბახუსის შვილი. მ თთვის გაწეული მასპინძლობისთვის, მოსთხოვეს მას გამოეთქვა რაიმე სურვილი. ენოპიონმა ისურვა ჰყოლოდა ვაჟი, მაშინ სამივე ღმერთმა მოშარდა მათ გასამასპინძლებლად დაკლული ხარის ტყავში, შემდეგ ჩაფლეს იგი მიწაში. ცხრა თვის შემდეგ იშვა იქიდან ორიონი, რომელიც იუპიტერმა ზეცაში აიყვანა.

ეს მითები გვიჩვენებენ, რომ პირველყოფილ ხალხებს ჰქონდათ მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა გამრავლების შესახებ, და აგრეთვე იმას, რომ ისტორიული განვითარების განსაზღვრულ ეპოქაში ორივე სქესი ედავებოდა ერთმანეთს და ცდილობდა ძიესაკუთრებინა უმთავრესი როლი შვილის შობვის აქტში.

ღმერთები არ კმაყოფილდებოდენ მით, რომ უარყოფდენ ქალღმერთთა დახმარებას შვილის შობვის აქტში, ისინი იღებდენ მათ, სახეს, ითვისებდენ ტანისამოსს და ატრიბუტებს, ლაკედემონიაში იყო აპოლონი, რომელსაც ეცვა ქალურად და ეჭირა ხელში ორპირი ცული, რაიც ამორძალთა იარაღს შეადგენდა. იუპიტერი, ოლიმპის მეფე, ფიქრობდა, რომ ის არ ამცირებდა თავის ღირსებას ქალურად გადაცმით, როგორც ამას გვიჩვენებენ სხვა და სხვა მედლები, რომლებზეც ის გამოხატულია ქალის ტანსაცმლით, ლენტებით და ქალის ძუძუებით. არწივის, იმისი სიმბოლიური ფრინველის, გამოხატულებას უნდა შეევსო გადაცმით გამოწვეული სახეობა ქალისა, და მიეცა იუპიტერისთვის დედის მზგავსება. არწივი ძლიერ უახლოვდება სვავს, განსახიერებას იზიდავს—დედისას; როდესაც მითი გადავიდა ერთი მხრიდან მეორეში. შეცვლა ორივე ფრინველისა, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ურთიერთთან საშუალო თოხუმის ფრინველით—ორბით,—ადვილი შესაძლებელი იყო. არწივი, სვავი და სხვა მტაცებელი ფრინველები განირჩევიან მით, რომ დედლები გაცილებით ოფრო ძლიერი და გამბედავები ირიან მამლებზე.

სქესის ამ შეცვლას მხოლოდ ის მიზანი ჰქონდა, რომ განდევნილ ყოფილიყვნენ ქალღმერთები მათი ტაძრებიდან. ღმერთი, გადაცმული ქალურად, მხოლოდ კონტრაბანდულად, მიიპარება წმიდა ადგილში, აძულებს აქ ხალხს სცენ მას თაყვანი და, ბოლოს, აქედან ქალურ ღვთაებას. ჰერაპოლისის ტაძარში იდგა იუპიტერის ქანდაკება იუნონას ქანდაკების გვერდით, მაგრამ მას მაინც უფრო ნაკლებად სცემდენ თაყვანს, მის კულტს უფრო მცირე მნიშვნელობა ჰონდა, მას სწირავდენ მსხვერპლს დუმილით, უგალობლად და უმუსიკოდ, რაიც დაუსრულებლად გაისმოდა მისი თანამგზავრის პატივსაცემად, როდესაც ორივე ღვთაების ქანდაკებანი გაჭრონდათ ქუჩებში წინდა კედელთა გარეშე. ქალღმერთის ქანდაკება ყოველთვის ღმერთის ქანდაკებაზე წინ მიჰქონდად ხოლმე. აპოლონს ჰქონდა დელფიის ტაძარში, რომელიც ეკუთნოდა წინად მიწას და მის ქალიშვილებს—ტიტანიდებს თეიას და ფებას, მეტი პატივი (ესხილი „ევმენიდები“), მას შემდეგ, რაც პანმა შეასწავლა მას წინასწარმეტყველების ხელოვნება, ის წავიდა დელფში, მოკლა დრაკონი პირფონი, რომელიც იცავდა გვირაბს, შეიმკო თავის თავი ფების სახელით და დაეუფლა ორაკულს.

და მართლაც, იმისათვის, რომ წაერთმიათ ქალისთვის მისი ქონება და მაღალი მდგომარეობა მატრიარქალურ ოჯახში, მამაკაცები, და მასთან ერთად ღმერთებიც, თამაშობდენ კომედიას, იცვლიდენ სქესს და წარმოადგენდენ ხოლმე მშობლიარობას (რის დროსაც მამაკაცი ჰბაძავდა მშობლიარეს).

ქალები უპასუხებდენ ამ შეცილებაზე მათ უფლებებსა და ქონებებში მით, რომ თვით ითვისებდენ მეორე სქესის ატრიბუტებს, კიპროსზე იყო ქანდაკება წვერიანი ვენერასი; იმისათვის მსხვერპლის შეწირვისას მამაკაცები იცვამდენ ხოლმე ქალურად, ხოლო დედაკაცები—კა-

---

*) პანთეონი—საყუდარი, ღმერთთა გენერალური შტაბი.

*) მინერვა.

...ონალ დაბლია! მუშკორის დევნის... ...ის უმაღლესი ხელისუფლების... ...ორგანო პასუხს გაგებიებსთ ... ...დიკრეტით, რომელიც უკვე იქნა ...ამოქვეყნებული მუშკორების დასა...ად.

„УРАГАН“

რედაქციისადმი.

ამხ. რედაქტორო!

...ნება მომეცით თქვენი გაზეთის ...საშუალებით პასუხი გავცე ექიმ ფუ...ლარიას იმ წერილის შესახებ, რო...მელიც მოათავსა მან გაზ. „კომუ...ნა“-ს მე 15 №-ში ლოლა ხოფე...რიას სიკვდილის გამო.

მართალია, ექ. ფულარია მონდო...მებული იყო გაეწია საექიმო დახმა...რება, როგორც მის ამხანაგ ექიმ ...ფეოსია ხოფერიაზე, ისე მის—...უმცროსი და—ლოლა ხოფერიასა...თვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ...რომ ექ. ფულარიას არ მიუძღოდეს ...დანაშაული ლოლა ხოფერიას სიკ...ვდილში.

მე უფროსი და—განსვეალებული ...ლოლა ხოფერიასი და ავრეთვე ...მეელი გულ... დაოუთქული მისი ჭი...ასუფალნი მიუხედავად იმისა, რომ ...დარწმუნებულნი ვიყავითი ჩვენ-ძვი...ოფასი ლოლას ძალით დაკარგვაში, ...ბაც არ ამ...გვიღია ექიმ ფულარიას ...საწინააღმდეგოდ, ვინაიდან ჩვენ ვერ ...უშველიდით ...ოდროვინ დაკარგულ ...ლოლას, მასთან ვიყავით დარწმუნე...ბული, რომ ... ფულარია იტანჯებოდა ...ამ უბედურების გამო" ზნეობრივად.

...ეხლა კი, როდესაც თვითონ გა...მოაქვეყნა ექ. ფულარიამ ვითომ ის ...იყოს უდანაშაულო ამ საქმეში, მე ...პირადად განსვენებულ ლოლა ხოფე...რიასი უფროსი და—ეფრო—ნებას ...ვაძლევ ჩემ... თავს საკადრისი პასუხი

...ცურად. წმიდა ავგუსტინე მოგვით...ხრობს, რომ რომში სცემდენ თა...ყვანს წვერიან ფორტუნას; იზიდას ...და ეგვიპტის სხვა ბრავალ ქალ-ღმე...რთებს ხატავდენ ხოლმე მამაკაცის ...სასქესო ორგანოებით. იზიდამ აირ...ჩია თავისთვისი სიმბოლოდ სვეი და ...ხარაბუა, რათა დაემტკიცებინა, რომ ...ის არის როგორც მდედრობითი ისე ...მამრობითი სქესისა. ორფიული*) ...ჰიმნები უწოდებენ მინერვას „კაცუ...რსა“ და „ქალურს“. ვაალი, ...რომელსაც სცემდენ თაყვანს ...ებრაელები, აგრეთვე ორ-სქესიანი ...ღვთაება იყო, რითაც აიხსნება ის ...გარემოება, რომ სეპტუაგინტას**) ...თარგმანში ვაალი აღნიშნულია ხან ...მამრობითი ხან მდედრობითი სქე...სით. ღვთაება, ბოლოს, გადაიქცა ...გერმაფროდიტად, მზგავსად კურდ...ღლისა, რომელიც, პლინიოსის მი...ხედვით, ეკუთვნის როგორც მამრო...ბითი, აგრეთვე მდედრობით სქესს. ...პტოლომეადის ეპისკოპოსის სინე...სიოსის მესამე სასულიერო საეკლე...სიო ჰიმნში დაუსრულებელი სულის ...შესახებ ნათქვამია:

„შენა ხარ მამა, შენვე ხარ დედა,
შენვე ხარ ქმარი, შენვე ხარ ცოლი.“

III

ეკკლესიის მამა ევსევი დიდი ზი...ზღვით ეპრყობოდა ეგვიპტურ კულ...ტს, როგორც „ხარაბუას სიბრ...ძნეს,“ მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ...მითი ქალწული მარიამის შესახებ ...მხოლოდ ანარეკლია ნილოსის ნაპი...რზე გავრცელებული მითებისა.

ოზირისს წარმოადგენდა მიწაზე

*) საღვთო.

**) ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი, შედგენილი 70 სეპტუაგინტა) ბერძენი მეცნიერის მიერ.

...ბავსცე ექიმ ფულარიას.

ექიმ ფულარია აცხადებს რომ როდესაც მან გასინჯა ავადმყოფი თითქოს განსვენებულ ლოლა ხოფერიას აღმოაჩნდა: მალარია, ფილტვების კატარული ტკივილები და მისგან დამოკიდებული გულის სისუსტე, რომლის, გამო გამოუწერა ავადმყოფს სათანადო წამლები და სხვათა შორის, რასაკვირველია, კან ქვეშ შესაშხაპუნებელი ქინა-ქინის ხსნილი. რად დასჭირდა ექ. ფულარიას ასეთი ტყუილების თქმა?

ჯერ ეს სიცრუეა და თუ ასე იყო, რომელი ბრიყვი და რომელი ოცოდინარი არ მიხვდება, რომ ექ. ფულარიას მიერ დასახელებულ ავადმყოფობიდან ადამიანი ასე უცბად არ მოკვდებოდა, თუნდა მედიცინის არაფერი ეს-მოდეს მაინც?

ავადმყოფის გასინჯვის შემდეგ მივიდა ექ. ფულარიასთან ლოლას უფროსი და ნინა და ეკითხება მას: „სჭრის თუ არა რაიმე ავადმყოფობა ბავშვსო“. პასუხად ფულარია აძლევს, რომ ბავშვს არავითარი ავადმყოფობა არა აქვს გარდა მალარიასი, რომლის საწინააღმდეგოდ მან გამოუწერა კანქვეშ შესაშხაპუნებელი ხსნილი.

ექ. ფულარია დაუფიქრებლობით თუ დაუფიქრებლობით ცილს წამებს ცხედარს ყოველნაირ ავადმყოფობით.

მე იმას არ ვიტყვი და არც შემიძლია დავამტკიცო, რომ ლოლას არავითარი ავადმყოფობა არ ჰქონდა, მაგრამ მე მაკვირვებს ექიმის სიტყვები, როგორ შეიძლება ავადმყოფობის დროს კაცს მარტო მალარია აღმოაჩნდეს და გვამის გაჭრის შემდეგ კი ყველაფერი ავადმყოფობა.

ეს სწორედ გასაკვირია არა მარტო ჩემთვის, არამედ ყველასათვის და არ ეპატიება მით უფრო ძველ და გამოცდილ ექიმს.

მართალი რომ ვსთქვათ ლოლა ხოფერიას ჯერ არავითარი ავადმყოფობა არ აწუხებდა გარდა „სურდოსი“. ის იყო დედის რჩევით წავიდა ექიმთან. ექიმმა გამუწერა ცხვირის მაზი და უბრალო რამეები (ის რეცეპტი ინახება სახლში) და დამატებით მალარიის საწინააღმდეგოთ კან-ქვეშ შესაშხაპუნებელი ქინაქინის ხსნილი. ვინაიდან სიძვირისა გამო ჩვენთვეს ძნელი იყო წამლების შეძენა, საშვალება გამოვნახეთ სახლში იმით, რომ შარშანდელი გამოწერილი ქინაქინის ხსნილი ექ. იპოლიტე ჩხეტიას მიერ ექ. ფედ. ხოფერიასთვის და არა ფულარიას მიერ გამოწერილი, როგორც ის იხსენიებს, მხოლოდ ფულარიას სიტყვით სტერილიზაციაში გატარებული მოტანილი იქმნა ფულარიასთან.

მაგრამ ეს მოუვიდა ფულარიას რუსული ანდაზის არ იყოს (медвежья услуга) რასაკვირველია, არა უცოდინარობით (მის ცოდნას მე არ შევეხები), არამედ დაუკვირვებლობით და დაუფიქრებლობით.

რა არის მიზეზი ლოლა ხოფერიას ასე უცრად სიკვდილისა?

ეს თვითონ თვით ექ ფულარიასაც გამოურკვეული აქვს; არამც თუ ექ. ფულარიას, არამედ სხვა ექიმებსაც, რომლებიც დაესწრენ გვამის გაჭრას არა აქვთ გამორკვეული თუ რა შეუშხაპუნა ფულარიამ ლოლა ხოფერიას ქინაქინის ხსნილი თუ სხვა რაიმე საწამლავი, რომელმაც უცბად მოშხამლა ჯან-ღონით სავსე ადამიანი და ერთ საათსაც არ აცოცხლა. რა საჭიროა აქ ამდენ-ავადმყოფობის გამოცხადება: ეს „ენდოკარდიტი“ ეს „იდიოსეკრაზა“ და ასეთები. ერთი სიტყვით ყველაფერი ავადმყოფობა აღმოჩნდა გვამის გაჭრის შემდეგ, რაც ექ. ფულარიას მოესურვა და არა ავადმყოფობის დროს, როდესაც გაშინჯა ხოფერია.

რამდენიც უნდა ვატრიალოთ, მთელმა საზოგადოებამ იცის და დარწმუნებულია რომ ლოლა ხოფერია გარდაიცვალა არა ავადმყოფობით არამედ ექ. ფულარიასი შემწეობით.

თავის მართლება არ არის საჭირო. საზოგადოება მაინც არ ამართლებს მას.

უკეთესი იქნებოდა ექ. ფულარიასთვის გაჩუმემულიყო და ეცნო თავისი თავი დამნაშავეთ. თავს ვერ გაიმართლებს. სჯობია სთქვას: „მომივიდა შეცდომა და რა უნდა ვქნა, რაც გინდა ის მიყავითო“.

მართალია მოუვიდა ფულარიას შეცდომა, მარცხი, მაგრამ როგორი მარცხი და შეცდომა!?? ექ. ფულარია ვერ მოირეცხს იმ ჩირქს, რომელიც მას აცხია ამ გარემოებით.

ამის შემდეგ ვთხოვ მთავრობის იმ პირთ. რომლებმაც იკისრეს ლოლა ხოფერიას გვამის გაჭრა უკანასკნელის სიკვდილის მიზეზის გამოსაკვლელად,—მათზე დაკისრებული საქმე მოიყვანონ სისრულეში, როგორც ამას მოითხოვს არსებულ ხელისურფლების კანონი.

ექ. ფულარიამ დაღუპა არა ერთ ადამიანი, არამედ მთელი ოჯახი.

მან დაღუპა ლოლა ხოფერია თ'ლისის მე II ტეხნიკუმის მე 7-ე კლასის ახალგაზრდა, ნორჩ, ჯერ კიდევ გაუშლელო, უწყინარ... ...ლიანი, ჩაფიქრებულო და სპეტაკ...ლამაზი ზრახვებით სავსე მოწაფე.

დაღუპა მან ის დ ვერაფრად ვერ აუნაზღაურებს ამ უბედურებას ვერც ტეხნიკუმს და ვერც დაღუპულის ჭირისუფლებს.

ეფრო ხოფერია.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენი პატივცემულ გაზეთ „კომუნა-“ს უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

გაზეთ „კომუნა-“ს მეთოთხმეტე ნომერში იყო მოთავსებული ამხ. ბობოხიძის წერილი სადაც იგი (ბობოხიძე) უსაყვედურებს ჯანმროელობის განყოფილების მიერ დანიშნულ კომისიას, უსამართლო მოქმედებას მის და ნიკიტა ჯინორიძის შორის მომხდარ კონფლიქტის გამოძიების დროს. ამხ. ბობოხიძე ამბობს, რომ კომისიამ მის დოუკითხავად გამოიძია საქმე, რაც სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს, მაგრამ ეს კომისიას არ უნდა ჩაეთვალოს შეცდ... ვინაიდან (კომისიამ) იცოდა, რომ ამხ. ბობოხიძე იმაზე მეტს ვერაფერს იტყოდა რაც მის განცხადებაში იყო ნათქვამი და გამოძიებაზე მისი დასწრება საქმის ვითარებას ვერ გამოცვლიდა, მით უმეტეს, რომ არც ერთ მხარეს მოწმეები არ ყავდა. კომისია უნდა დაყრდნობოდა-ბობოხიძის განცხადებას, ჯინორიძის და-ბობოხიძის განცხადებაში დასახელებულ რამოდენიმე პირების ჩვენებას ეს იყო კომისიის მთელი მოვალეობა, ამაზე მეტს ვერაფერს იზამს კომისია, თუ გინდ ათ ჯერ გაიმეოროს მან გამოძიება; დასახელებულ პირთა ჩვენებიდან არავითარი საბუ-

ნისმცემელია, მეორეთა აზრით—ქრისტესი“. როგორც იესო, ოზირისიც უნდა წამებულიყო და მომკვდარიყო, რომ გამხდარიყო ღირსი მომაკვდავთა თაყვანისცემისა თავის დედასთან ერთად.

* * *

მითი უბიწოდ ჩასახვის შესახებ წარმოიშვა, მაშასადამე, არა პირველ საუკუნეებში ქრისტიანობის აღმოცენების შემდეგ; უფრო სწორედ რომ ვთქვათ,—ეს ერთ ერთი უძველეს მითთაგანია. იგი შეიქმნა იმ ხანებში, როდესაც მამაკაცი ცდილობდა დაემორჩილებინა დედაკაცი მისი ქონებისა და მისი ბატონობის გამო მატრიარქალურ ოჯახში და ამ მიზნით ედავებოდა მას მთავარ როლს შვილის შობვის აქტში; დედაკაცი უპასუხებდა ამ შეცილებაზე მის უფლებებსა და მის მნიშვნელობაში მოდგმის გამრავლებისთვის იმის მტკიცებათ, რომ მას შეუძლია ჩასახვა ნაყოფისა მამაკაცის დახმარების გარეშე.

მითი უბიწოდ ჩასახვის შესახებ ხელახლა გამოცხოცხლდა იმ ეპოქაში, როდესაც ანტიურ საზოგადოებას შეერყა საძირკველი, როდესაც ინგრეოდა პატრიარქალური ოჯახი, და ბერძენ-რომაელი ქალი გათავისლფლდა ცალმრული ულლისაგან, რომელიც მას აწვა საუკუნოების განმავლობაში. მატრიარხატის დროინდელმა ქალურმა რელიგიებმა, რომლებშიც ქალ-ღმერთები ბატონობდენ ღმერთებზე და რომლებიც დაცულ იქენ ეგვიპტესა და მცირე აზიაში, ხელახლა ჰპოვეს ნიადაგი იმ ხალხებში, რომლებშიც ღმერთებმა უკვე დიდი ხანია ჩამოაგდეს ქალ-ღმერთები და წაართვეს მათ მათი უპირატესობანი. ეს იყო ის სანაცვლო, რომელიც უწინასწარმეტყველა იუპიტერს პრომეთემ და რომლის მიხედვითაც იუპიტერს უნდა დაეკარგა სკიპტრა და ახდოდა პატივი (ესხილი).

მაგრამ ტრიუმფი არ გაგრძელებულა დიდხანს. ქალებმა ხელახლად დაკარგეს უფლებანი, რომელთა მოხვეჭაც მათ ის იყო დაიწყეს. ქრისტიანულ რელიგიას, რომელმაც ხელახლა შეითვისა მითი ქალწული-დედის შესახებ და მიაკუთვნა მას დიდი პატივი, თითქო უნდა შეეწყო ხელი ქალთა გათავისუფლებით მონ-ურაფებათათვის, მაგრამ რაღა ეხედავთ ჩვენ,—მან უღალატა ქალს და შეიქმნა ქალთა ჩაგვრის იარაღად. ქალს უკვე აღარ ედავებოდენ მის დიდ როლის შვილის შობის აქტში, მაგრამ სამაგიეროდ ცდილობდენ წაერთვათ მისთვის ადამიანის თვისებანი. მოწვეულ იქნა საბჭო იმის გადასაწყვეტად,—ხომ არ წარმოადგენს ქალი უდაბლეს ცხოველს, რომელსაც არ აქვს სული. და ქრისტიანულმა ეკლესიამ, დამკარებულმა ძველ ქალურ მითზე უბიწოდ ჩასახვის შესახებ, გადასწყვიტა მხოლოდ ერთი ხმის უმრავლესობით, რომ დედა კაცს ასევე, როგორც მამაკაცს, აქვს სული.

პ. ლაფარკი.

*) ეგვიპტელ ქურუმთა უმრავლესობა, ამბობენ პლუტარხი, „ამტკიცებს, რომ სახელი სერაპისისა შესდგა აპისისა და ოზირისის სახელებიდან. ისინი ამყარებენ თავის შეხედულებას იმ მოძღვრებაზე, რომლის მიხედვითაც აპისი იყო უფმშვენიერესი გამოხატულება ოზირისისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი არ აღმოჩნდა, რომელიც ამტკიცებდეს ჯინორიძის ბოროტ-მოქმედებას კომისიამ შეადგინა სათანადო ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ: მედიკ-სან-შრომის პასუხის მგებელი მღივანი, ძველ-სენაკის აღმასკომის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის განყოფილების გამგე და სოფრმაცივტო ქვე-განყოფილების გამგე. ოქმი წარედგინა სამაზრო აღმასკომს, რომელმაც დადგინა-გაფრთხილებულ იქნას ჯინორიძე და საქმე წარმოებით მოისპოს. მაზედ დამატებით-ჯანმრთელობის განყოფილებამ-მისცა წინადადება ჯინორიძეს, რომ ამიერიდან,-გულგებრულის თავიდან ასაცილებლად, აწეროს რეცეპტის ცარიელ ადგილზე რომელი წამალიცარა აქვს და თუ აქვს რამდენის გაცემა შეუძლია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კომისიამ თავისი მოვალეობა შეასრულა პირნათლად.

(ამხ ბიმოხიძეს შეუძლია ნახოს ოქმი სამაზრო აღმასკომში ის დარწმუნდება ჩვენი პასუხის სინამდვილეში).

სენაკის სამაზრო აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილება.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენი პატივცემულ გაზეთ „კომუნას“ საშვალებით გამოვაცხადო შემდეგი:

სულით, გულით და მოდგმით გლეხმა, მე ყველაზე უწინ დავგვმე მოღალატური მოქმედება მენშევიკური პარტიისა. დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ მენშევიკურმა პარტიამ გაყიდა და ფეხ-ქვეშ გათელა მუშათა კლასის ინტერესები, და ის უნდა დაიშალოს არამც თუ საბჭოთა რესპუბლიკებში, არამედ მთელს მსოფლიოში. ვინაიდან მუშათა ხსნა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებაშია, ვემხრები, ვიზიარებ და თანაუგრძნობ მას. მზათა ვარ მთელი ჩემი ძალ-ღონე მოვახმარო საბჭოთა აღმშენლობის საქმეებს. ასეთ გადაწყვეტილებას ვადგიარ დღიდან გადატრიალებისა.

კონდრ. ყურაშვილი.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს წერილი მოათავსოთ პატივცემულ თქვენს გაზეთში.

1905 წლიდან ვეკუთნოდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომლისათვის აუარებელი ტანჯვა გამოვიარე ნიკოლოზის ციხე—კატორღებში.

1921 წლიდან დაკვირვებამ დამარწმუნა, რომ მხოლოდ კომუნისტურ პ რტიას შეუძლია გაამართლოს მუშათა კლასის მისწრაფებანი.

ამისათვის მაშინვე. ე. ი. 1921 წელში, გავსწყვიტე ყოველივე კავშირი სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. ახლა მზათა ვარ ყოველ საჭირო შემთხვევაში ხელი შეუწყო არსებულ წყობილებას აღმშენებლობით საქმეებში.

თემურაზ გვატის-ძე ზ. რქეფა.

ს ო ფ ლ ა დ.

მარტვილის თემი

ყველას კარგად მოეხსენება, ვინც კი იცნობს მარტვილის თემს, რომ შრომელი გლეხობა მუდამ-გაჭირვებული, მდგომარეობას განიცდიდა, მაგრამ, 1922 წლის მოსავალმა დიდათ—შეუწყო გლეხებს გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოსვლას. ეს შეგვიძლია თამამად მივაწეროთ უმაღლეს მოვრობის მოქმედებას მიტომ, რომ სამაზრო აღმასკომმა თავის დროზე ჩაატარა თესვის კომპანია და ღარიბ გლეხებს მიაწოდა სათესლე სიმინდი, სამაზრო აღმასკომის მიერ გამოგზავნილ ინსტრუკტორებმა ყველა თემებში ჩაატარეს თესვის კომპანია. კომპანიამ დიდი სარგებლობა მოიტანა. მშრომელმა გლეხებმა თავისი დროზე დამუშავეს ყველა მიწები, რასაც შემდეგ მოყვა 1922 წლის შესანიშნავი მოსავალი. 1923 წელს მოსავალს ისეთი პირი უჩანს, რომ არის სრული იმედი იმისა, რომ მოსავალი 1923 წ. დაჩრდილავს 1922 წლის მოსავალს. ამით სამუდამოდ ნიადაგი გამოეცალა მღვდლებს და მათი ამყოლი-დამყოლთ, რომლებიც ცდილობდენ მოუსავლიანობის ნიადაგზე ხალხში პროვაკაციის გაწევას და მისი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ დარაზმვას, მარტვილის თემის მშრომელი გლეხობა დღეს დარწმუნებულია იმაში, რომ ხაზი აღებული საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის მიერ არის ნამდვილი დამცველი მშრომელი გლეხების ინტერესებისა.

მაშ გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას მთელს მსოფლიოში!

გაუმარჯოს მე III კომუნისტურ ინტერნაციონალს!

ძირს მატყუარა სამღდელოება და მისი დამქაშები!

ვ. ნოწოლია.

ქ რ ო ნ ი კ ა.

შუამდგომლობა საქ. ს ს. რ. სახ. კომ. საბჭოსთან.

სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსთან, რომ მან დახმარება გაუწიოს მას ფულით მდ. ტარჩენსა, გურძემიასა და აბაშაზე მარტვილთან და ბანძასთან ხიდების გასაკეთებლად.

ხიდების გაშენება.

1. 24 ივლისიდან მდ. ტარჩენის ხიდის გასაკეთებლად დაიწყო ფაქტიური მუშაობა, რომელიც სწარმოებს ინტენსიურად. ტეხნიკოსთან და მუშებთან დაღებული ხელშეკრულების ძალით ხიდე უნდა იქნეს მზათ ა/წ 25 სექტემბერს.

2. მდ. გურძემიაზე გასაკეთებელი ხიდის იჯარით გაცემა დანიშნულია 23 ივლისს. მასალა დამზადებულია.

3. მდ. აბაშაზე მარტვილთან გასაკეთებელი ხიდის მასალის დამზადება უკვე დაიწყო. მასალების დამზადება სწარმოებს ინტენსიურად. მასალებს ამზადებენ შემდეგი თემები მარტვილის, ნარუნოვის, გაჭედილის ხუნწის და ნიგვზოვის.

ტეხნიკოსების მიგლინება თემებში.

სამაზრო აღმასკომმ გადაგზავნა ტეხნიკოსები თემებში შინაელშენებლობის კამპანიისათვის წინასწარ სამუშაოს შესასრულებლად.

ახალ-აბაშის ტეხნიკუმი.

სამაზრო აღმასკომმა შუადგომლობა აღძრა საქართველოს ლიკვიდაციის კომისიის საბჭოსთან, რომ ამ ტეხნიკუმს ფული ეგზავნოს ადგილობრივ ბიუჯეტიდან.

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ ეს ჩემი ბოდიში ბეჭდოთ თქვენ ფურცლებში.

ბ. ბ. ... ...